საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2014 წლის 29 სექტემბრის
დადგენილება №1274

მაგისტრანტობის კანდიდატების ჩარიცხვის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. მაგისტრატურაში მისაღები ჯამური ვაკანტური ადგილების ფარგლებში (983 ადგილი), გადატანილი იქნეს აუთვისებელი ვაკანტური ადგილების გარკვეული რაოდენობა იმ პროგრამებზე, სადაც მაგისტრანტობის კანდიდატთა რაოდენობა აჭარბებს დამტკიცებული ვაკანტური ადგილების რაოდენობას, ანუ გაიზარდოს ვაკანტური ადგილების რაოდენობა შემდეგ პროგრამებზე:
   - „მშენებლობა“ – 9 ადგილით;
   - „ტელეკომუნიკაცია“ – 3 ადგილით;
   - „ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია“ – 7 ადგილით;
   - „ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტი და ინდუსტრიული პოლიტიკა“ – 2 ადგილით;
   - „გეოლოგია“ – 5 ადგილით;
   - „ფარმაცია“ – 11 ადგილით;
   - „ტრანსპორტი“ – 1 ადგილით;
   - „ლოჯისტიკა“ – 4 ადგილით;
   - „არქიტექტურა“ – 14 ადგილით;
   - „საჯარო მმართველობა“ – 1 ადგილით;
   - „მასობრივი კომუნიკაცია“ – 3 ადგილით;
   - „ინფორმატიკა” – 17 ადგილით;
   - „მათემატიკა“ – 7 ადგილით;
   - „სასურსათო ტექნოლოგია“ – 3 ადგილით;
2. მაგისტრანტობის კანდიდატებთან ხელშეკრულების გაფორმების ვადა გაგრძელდეს 2014 წლის 29 სექტემბრის ჩათვლით;
3. რექტორის ერთიანი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი მაგისტრანტობის კანდიდატების ჩარიცხვასთან დაკავშირებით გამოვიდეს არაუგვიანეს 2014 წლის 3 ოქტომბრისა.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე	ა. ფრანგიშვილი
აკადემიური საბჭოს მდივანი	გ. სალუქვაძე